საქართველოს სახალხო დამცველი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის დებულება

2015

დამტკიცებულია:
საქართველოს სახალხო დამცველის
2015 წლის 20 ნოემბრის #316 ბრძანებით. დანართი #1

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის დებულება (შემდგომში - "დებულება") განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის სტრუქტურას, წევრთა საქმიანობის წესს, უფლებამოსილებას და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრები თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და წინამდებარე დებულებით.
3. დებულების მოქმედება ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრი - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი ჯგუფის წევრი.
2. ინტერესთა კონფლიქტი - შემთხვევა, როცა მონიტორინგის ჯგუფის წევრის ნათესაური, მეგობრული, სამსახურებრივი, პირადი ან სხვა კავშირი (რომელიც დამოუკიდებელი დამკვირვებლის თვალში შეიძლება განხილულ იქნას ინტერესთა კონფლიქტად), მონიტორინგის საგანის/ობიექტის მართვაზე პასუხისმგებელ ან/და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან წარმოშობს დამოუკიდებლობის ან/და მიუკერძოებლობის ხელყოფის ობიექტურ საფრთხეს.
3. ხელშეკრულება - საქართველოს სახალხო დამცველსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრს შორის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დადებული შესაბამისი ხელშეკრულება.
4. ჯგუფის ხელმძღვანელი - პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს მონიტორინგის განხორციელებას უშუალოდ მონიტორინგის ადგილზე.

მუხლი 3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფი

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის (შემდგომში - მონიტორინგის ჯგუფი) შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სახალხო დამცველი ბრძანებით.
2. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის წესით, 2 წლის ვადით. კონკურსის ჩატარების პირობები განისაზღვრება საქართველოს სახალხო დამცველის ბრძანებით".
(საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 25 იანვრის N23 ბრძანება).
3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობაში წევრის დროებით დამატების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, წევრის დამატების შესახებ გადაწყვეტილებას სახალხო დამცველი იღებს კონკურსის გარეშე.
4. მონიტორინგის ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება, პროფესიული გამოცდილება და საქმიანი და მორალური თვისებებით შეუძლია განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგი.
5. მონიტორინგის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.
6. მონიტორინგის ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ისეთ ორგანიზაციაში დასაქმებული პირი, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელს.

მუხლი 4. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა საქმიანობის ზოგადი წესი და პრინციპები

1. თავისი ფუნქციების შესრულებისას მონიტორინგის ჯგუფის წევრი მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნების საფუძველზე და ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის წინაშე.
2. მონიტორინგის ჯგუფის წევრი თავის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული კონკრეტული დავალების ფარგლებში, რომლის შესრულებას, ორგანიზებას, კოორდინაციას და ზედამხედველობას უწევს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი, ხოლო დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის შემთხვევაში – პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.
3. მონიტორინგის ჯგუფის წევრის ნებისმიერი მოქმედება ან სტატუსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მიზნებს.
4. მონიტორინგის ჯგუფის წევრთა საქმიანობის პრინციპებია:
ა) სამართლიანობა;
ბ) ობიექტურობა;
გ) ნდობა;
დ) კონფიდენციალობა;
ე) ადამიანის უფლებათა დაცვა;
ვ) ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა;
ზ) კოლეგიალობა;
თ) ურთიერთპატივისცემა.

მუხლი 5. მონიტორინგის ორგანიზება

1. მონიტორინგს გეგმავს, ორგანიზებას უწევს და ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი სახალხო დამცველთან შემთანხმებით. დახურული ტიპის დაწესებულებების მონიტორინგის შემთხვევაში, მონიტორინგის დაგეგმვას, ორგანიზებასა და ზედამხედველობას უზრუნველყოფს პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.
2. სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საქმიანობის განხორციელების მიზნით:
ა) მონიტორინგის/კვლევის საგანის სპეციფიკის, ტიპის, საკვლევი საკითხებისა და ჯგუფის მულტიდისციპლინური დაკომპლექტების საჭიროების გათვალისწინებით, მონიტორინგის ჯგუფის წევრებიდან ადგენს კონკრეტული მონიტორინგის განმახორციელებელი პირის ან/და ჯგუფის შემადგენლობას და შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს სახალხო დამცველს;
ბ) დაგეგმილი მონიტორინგისა და სამუშაო შეხვედრის შესახებ წერილობით, არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე ატყობინებს მონიტორინგის ჯგუფის წევრებს;
გ) საგანგებო მონიტორინგის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მონიტორინგის შესახებ ატყობინებს ამ საგანგებო მონიტორინგისათვის შერჩეულ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს;
დ) საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებული მონიტორინგის ჯგუფის წევრებს შორის ანაწილებს ფუნქციებს და გამოყოფს ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც კოორდინაციას უწევს მონიტორინგის განხორციელებას უშუალოდ მონიტორინგის ადგილზე;
ე) უზრუნველყოფს მონიტორინგის ჯგუფის წევრებისათვის მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;
ვ) აგვარებს მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ტექნიკურ საკითხებს.

მუხლი 6. მონიტორინგის ჯგუფის წევრის ვალდებულებები და უფლებამოსილება

1. მონიტორინგის ჯგუფის წევრი მონიტორინგის განხორციელებისას ვალდებულია:
ა) იხელმძღვანელოს მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით;
ბ) დაესწროს სახალხო დამცველის/სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს;
გ) დაგეგმილ მონიტორინგსა და შეხვედრებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, წინასწარ, წერილობით (ბეჭდური ან ელექტრონული სახით) აცნობოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დეპარტამენტის უფროსს/უფროსის მოადგილეს შესაბამისი მიზეზების შესახებ;
დ) განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, მნიშვნელოვანი პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში (კონკრეტული პირის სიცოცხლის რისკის ქვეშ არსებობა, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა ან/და მძიმე შედეგის დადგომის სხვაგვარი რისკის არსებობა), დაუყოვნებლივ მიმართოს საქართველოს სახალხო დამცველს, ჯგუფის ხელმძღვანელს, მიაწოდოს ინფორმაცია და შესაძლო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ მოსაზრება;
ე) არ გაახმაუროს საიდუმლო ან კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად;

ვ) არ გაამჟღავნონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება მონიტორინგის ფარგლებში განსახორციელებელ ვიზიტებს, მონიტორინგის ობიექტის ადგილმდებარეობას, ხანგრძლივობას ან სხვა საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ მონიტორინგის განხორციელების შეფერხება ან სხვაგვარად ხელშეშლა;
ზ) საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მონიტორინგის/კვლევის განხორციელებისას;
თ) მონიტორინგის განხორციელების დროს იხელმძღვანელოს წინასწარ შემუშავებული, შესაბამისი სამუშაო მეთოდოლოგიით.
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება პირს უნარჩუნდება მონიტორინგის ჯგუფის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.
3. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მისი თავიდან აცილების მიზნით, მონიტორინგის ჯგუფის წევრი ვალდებულია: პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველს ან ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგის ჯგუფის წევრის კონკრეტული ვიზიტის განხორციელებისაგან აცილების შესახებ.
4. საქართველოს სახალხო დამცველის წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფის წევრს უფლება აქვს გაამჟღავნოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიცავს კონკრეტული ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ამ უკანასკნელის ინფორმირებული წერილობითი თანხმობა ასეთი ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე.
5. მონიტორინგის ჯგუფის წევრს უფლება აქვს ინფორმირებული იყოს დაგეგმილი მონიტორინგის შესახებ, მონიტორინგის განხორციელებამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.

მუხლი 7. მონიტორინგის და კვლევის ანგარიში

1. მონიტორინგის ჯგუფის წევრი ვალდებულია მოახდინოს მონიტორინგის შედეგების სრულყოფილი წერილობითი ფიქსაცია.
2. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა მონიტორინგის და/ან კვლევის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უდნა მოამზადონ სრული და ობიექტური ანგარიში, რომელსაც ქართულ ენაზე, ანგარიშის დადგენილი ფორმით წარუდგენენ სახალხო დამცველს.
3. მონიტორინგის ჯგუფის წევრის მიერ ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 8. მონიტორინგის ჯგუფის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. მონიტორინგის ჯგუფის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს სახალხო დამცველი.
2. მონიტორინგის ჯგუფის წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ ორჯერ დაგეგმილ მონიტორინგში ან სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობის მიუღებლობა;
გ) თუ იგი გახდა პოლიტიკური პარტიის წევრი ან სხვაგვარად მონაწილეობს პოლიტიკურ საქმიანობაში;

დ) დასაქმდა ისეთ საჯარო დაწესებულებაში, რომლის მონიტორინგის განხორციელება შედის მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებში;
ე) დასაქმდა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო ან/და თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელს;
ვ) წინამდებარე დებულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევის გამო;
ზ) მონიტორინგის შედეგების შესახებ დადგენილი წესით და ვადაში ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო;
თ) მონიტორინგის და/ან კვლევის ანგარიშის არასრულად, არაობიექტურად და დადგენილი ფორმის დაუცველად წარმოდგენის გამო;
ი) კანონმდებლობით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება ან გარდაცვლილად გამოცხადება;
კ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
ლ) გარდაცვალება.